დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარიის“ ავტორიზაციის პირობებთან შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე

წევრები:

ირმა არსენაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 238134425

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 13 ივლისის N795274 ბრძანებით, შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯში ვიზიტის განხორციელება. მონიტორინგი განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, რომლის 2021 წლის 2 მარტის N218525 გადაწყვეტილებით შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭა ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, თუმცა საბჭოს შუამდგომლობით 2.2 კომპონენტში ჩაინიშნა მონიტორინგი, გამომდინარე იქიდან, რომ სტანდარტის კომპონენტი შეფასებული იყო როგორც მეტწილი შესაბამისობა.

მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და შეიმუშავა დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. მიმდინარე წლის 22 ივლისს განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; შეხვედრის ფარგლებში, ეტაპობრივად ხორციელდებოდა მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან. ვიზიტის ბოლოს, შეჯამებული სახით, დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდა ინფორმაცია ძირითადი მიგნებების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა.

IV. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

ვიზიტისას შეფასდა მონიტორინგისას შესაფასებელი სტანდარტის კომპონენტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

ინდიკატორი 2.2.1.1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის დაწესებულებას დაგეგმილი აქვს ცალკეული რესურსის შესყიდვა, რისთვისაც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, შესყიდვის პროცესის დასრულების დრო არ აღემატება 6 თვეს.

დაწესებულებას შესყიდული აქვს შესაბამისობის გეგმით გაწერილი რესურსები.

ინდიკატორი 2.2.1.2. - რეკომენდებულია დაწესებულებამ განსაზღვროს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემა, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის აკადემიური მიმართულებით დატვირთვის ოდენობა დაადგინოს ცალსახად.

დაწესებულებამ ცვლილებები განახორციელა რეგულაციაში, რომელიც სრულად არ ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.2.1.3. - რეკომენდებულია კოლეჯმა დაარეგულიროს პერსონალთან სახელშეკრულებო ურთიერთობები საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ მოდულური სწავლების მიდგომების გათვალისწინებით დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები, ცალსახად განისაზღვროს ხელშეკრულების ვადა და შრომის ანაზღაურების ოდენობა.

დაწესებულებამ თავიდან გააფორმა ხელშეკრულებები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, თუმცა ის სრულად არ ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას.

ინდიკატორი 2.2.1.4. - რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს პროგრამის ხელმძღვანელთან სახელშეკრულებო ურთიერთობები, დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები, ცალსახად განისაზღვროს პერსონალის დატვირთვის ოდენობა და შრომის ანაზღაურების ოდენობა.

დაწესებულების მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულება სრულად არ ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას.

ინდიკატორი 2.2.1.5. - რეკომენდებულია კოლეჯმა დაარეგულიროს ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდური რესურსის განლაგება/საძიებო სისტემის სრულყოფა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნებს მათი მოკლე დროში მიკვლევადობა.

დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და ბეჭდური რესურსი განალაგა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

ინდიკატორი 2.2.1.7. - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ბიუჯეტში მიითებული რენტაბელური ზღვარის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გათვალისწინებით მიღებული შემოსავლები ფარავს ამავე ბიუჯეტით განსაზრვრულ პროგრამის განხორციელების ხარჯს, თუმცა, რეკომენდებულია კოლეჯმა სწორად გაიანგარიშოს ბიუჯეტის შესაბამის კომპონენტით განსაზღვრული მონაცემები, მათ შორის: შემოსავლები დაიანგარიშოს რენტაბელური ზღვარის მიხედვით.

დაწესებულებამ თავიდან შეიმუშავა პროგრამის ბიუჯეტი, თუმცა ის არ ითვალისწინებს გაცემულ რეკომენდაციას.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

სტანდარტთან მიმართებით ხარვეზი არ ფიქსირდება.

VI. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ინდიკატორი 2.2.1.1. - პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, სრულად გაიწეროს მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები და იმ ხელშეკრულებებს, რომლებსაც არ ახლავს მატერიალურ რესურსზე ინფორმაცია, დანართის სახით გაიწეროს მათზე ინფორმაცია.

ინდიკატორი 2.2.1.1. და 2.2.1.3. - დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს ინფორმაციას მატერიალურ რესურსებსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადი შეავსეს, რომელსაც აქვს მატერიალურ რესურსებსა და მოდულის განმახორციელებლებზე ინფორმაცია. შესაბამისად, ამ ფორმით დამტკიცდა პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსი. გამომდინარე იქიდან, რომ განაცხადი არ არის პროგრამის შემადგენელი ნაწილი, სასურველია პროგრამას დანართებად გაწერილი და დამტკიცებული ჰქონდეს ინფორმაცია მატერიალურ რესურსებსა და მოდულთა განმახორციელებლებზე.

ინდიკატორი 2.2.1.2. გამომდინარე იქიდან, რომ არ არის მიზანშეწონილი ადმინისტრაციის პერსონალი დღეში ატარებდეს 6 საათამდე ლექციებს, სასურველია დაწესებულებამ ადმინისტრაციული პესონალის აკადემიური დატვირთვის ოდენობა დაადგინოს ცალსახად და ამასთანავე განსაზღვროს მათი არა დღიური, არამედ კვირეული საათობრივი დატვირთვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოდული „ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია“ არის 4 კრედიტიანი, ხოლო მასწავლებლის დატვირთვის სქემაში გაწერილია მხოლოდ 80 საათი, როდესაც სასწავლო გეგმით გაწერილია 100 საათი. შესაბამისად, სასურველია დატვირთვის სქემაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

ინდიკატორი 2.2.1.3. - მიმდინარე წელს პროგრამის განმახორციელებლებთან თავიდან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები და დასაქმებულთა უფლებამოსილებაში განისაზღვრა მხოლოდ ვერიფიკაციის პროცესში მათი მონაწილეობა, თუმცა მოქმედ ხელშეკრულებებში კვლავ იკითხება სილაბუსების შემუშავების ვალდებულება, რაც კვლავაც არ არის თავსებადი პროგრამის განხორციელების მიზნებთან.

ინდიკატორი 2.2.1.4. - რეკომენდებულია დაწესებულებამ მინიმუმამდე დაიყვანოს ტექნიკური ხარვეზები, დაარეგულიროს პროგრამის ხელმძღვანელთან სახელშეკრულებო ურთიერთობები და დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები.

ინდიკატორი 2.2.1.7. - რეკომენდებულია კოლეჯმა სწორად გაიანგარიშოს ბიუჯეტის შესაბამისი კომპონენტით განსაზღვრული მონაცემები, მათ შორის: შემოსავლები დაიანგარიშოს რენტაბელური ზღვარის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია / Veterinary
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში/ Higher Vocational Qualification in Veterinary
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების აქტის რეკვიზიტი N47/07.10.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. საგარეჯო, ლეონიძის ქ. N33ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	20 პროფესიული სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150 კრედიტი

IX. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	-	**შეესაბამება**
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ვეტერინარიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულია - 20 პროფესიული სტუდენტი. სწავლება განხორციელდება 2 ჯგუფად, ჯგუფში 10 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება კოლეჯის A, B და C გარემოები. კოლეჯის A სასწავლო გარემო აღჭურვილია ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მოდულების სწავლებისთვის, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია მოცემულ სასწავლო გარემოში. აუდიტორიაში განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული მასწავლებლისთვის საჭირო მაგიდა და სკამი, მონიტორი, კომპიუტერი და თვალსაჩინოებები. კოლეჯის B სასწავლო გარემო აღჭურვილია ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი მოდულის სწავლებისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული მასწავლებლისთვის საჭირო მაგიდა და სკამი, მონიტორი, დაფა და 11 კომპიუტერი.

კოლეჯის C სასწავლო გარემოდ წარმოდგენილია ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ქიმიური ლაბორატორია, სადაც განთავსებულია ვეტერინარიის პროგრამის სწავლებისთვის საჭირო ინვენტარი. პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, C სასწავლო გარემოში დაგეგმილი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რესურსის ყველა სახე არ იყო წარმოდგენილი. მაგალითად, კოლეჯში არ იყო ხელმისაწვდომი: ჩონჩხი (სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის); ცხოველთა ჩონჩხის ცალკეული ნაწილები; მულიაჟი (ძროხა, ღორი, ცხვარი, ფრინველი); დანაყოფებიანი ჯოხი; დანაყოფებიანი ცირკული; დანაყოფებიანი ლენტა; ცხოველის ნომრები, ხოლო არასაკმარისი რაოდენობით იყო წარმოდგენილი: სპირტქურა; სინჯარა; სინჯარის შტატივი; სინჯარის დამჭერი; კონუსური კოლბა; საზომი კოლბა; ბიურეტი; ბიურეტის დამჭერი; მინის პიპეტი; პიპეტის დოზატორი; პასტერის პიპეტი; ძაბრი; ქიმიური ჭიქა; მენზურა; დიდი ზომის სინჯარა გაზგამტარით; ფაიფურის ჯამი. მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ვიზიტისას, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებებით, ვიზუალური დათვალიერებით და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დასტურდება მატერიალური რესურსის ფლობა/შესყიდვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს 4 ხელშეკრულება. კერძოდ:

- 2021 წლის 20 თებერვალს გაფორმებულია ხელშეკრულება (N13) შპს ვეტებთან ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების დანართით შემდეგი მოდულების პრაქტიკული ნაწილის სწავლებაა განსაზღვრული: ვეტერინარი ქირურგის ასისტირება; შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა; ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია; ცხოველთა მკურნალობა. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. ხელშეკრულება მოქმედია 2026 წლის 1 იანვრამდე. გაფორმებულ ხელშეკრულებას ერთვის კონკრეტული მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და მოდულის ფარგლებში არასრულად გაწერილი პრაქტიკული სწავლის შედეგები.
- 2021 წლის 25 თებერვალს გაფორმებულია ხელშეკრულება (N16) ინდ. მეწარმესთან „ზვიად სიბოშვილი“ ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების დანართით შემდეგი მოდულების პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაა განსაზღვრული: ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა; ცხოველთა კვება. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. ხელშეკრულება მოქმედია 2026 წლის 1 იანვრამდე. გაფორმებულ ხელშეკრულებას არ ერთვის კონკრეტული მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. ხელშეკრულებას ერთვის იმ მოდულებზე ინფორმაცია, რომლებიც უნდა მიიღწეს პრაქტიკის ობიექტზე, თუმცა ხელშეკრულებით არასრულადაა გაწერილი პრაქტიკული სწავლის შედეგები. ასევე, ხელშეკრულების თარიღი არასწორადაა მითითებული. ნაცვლად 25 თებერვლისა, გაწერილია 20 თებერვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- 2021 წლის 20 თებერვალს გაფორმებულია ხელშეკრულება (N15) მეცხოველეობის სანაშენე კოოპერატივთან „მომშენებელი“ ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების დანართით შემდეგი მოდულის პრაქტიკული ნაწილის სწავლებაა განსაზღვრული: ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. ხელშეკრულება მოქმედია 2026 წლის 1 იანვრამდე. გაფორმებულ ხელშეკრულებას ერთვის კონკრეტული მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.
- 2021 წლის 20 თებერვალს გაფორმებულია ხელშეკრულება (N14) შპს მატადორთან ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების დანართით შემდეგი მოდულების პრაქტიკული ნაწილის სწავლებაა განსაზღვრული: ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი; ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურება გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. ხელშეკრულება მოქმედია 2026 წლის 1 იანვრამდე. გაფორმებულ ხელშეკრულებას არ ერთვის კონკრეტული მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სასურველია გასწორდეს ზემოაღნიშნული ტექნიკური ხარვეზი, სრულად გაიწეროს მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები და იმ ხელშეკრულებებს, რომლებსაც არ ახლავს მატერიალურ რესურსზე ინფორმაცია, დანართის სახით დაერთოს მათზე ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებში გაწერილია, რომ პროფესიული სტუდენტებს ექნებათ წვდომა პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. ასევე, პრაქტიკის ობიექტები ვალდებული არიან პროფესიულ სტუდენტებს გააცნონ ობიექტზე მოქმედი შესასრულებლად სავალდებულო წესები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტები (სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უსაფრთხოების წესები, კონფიდენციალური, კომერციული და საქმიანი ინფორმაციის დაცვის ნორმები, მოქცევის, ჩაცმულობის, ეტიკეტისა და ეთიკის ზოგადი ნორმები).

დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებლებსა და მატერიალურ რესურსზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადი შეავსეს, რომელსაც აქვს მატერიალურ რესურსებსა და მოდულის განმახორციელებლებზე ინფორმაცია. გამომდინარე იქიდან, რომ განაცხადი არ არის პროგრამის შემადგენელი ნაწილი, სასურველია პროგრამას დანართებად გაწერილი და დამტკიცებული ჰქონოდა ინფორმაცია მატერიალურ რესურსებსა და მოდულთა განმახორციელებლებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები არის დაკმაყოფილებული.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში შემუშავებული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით იკვეთება, რომ კოლეჯში არსებული მიდგომისა და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა განსაზღვრული იყო მოდულის შესაბამისი სწავლის შედეგის საკონტაქტო საათების ოდენობით და არ ითვალისწინებდა მასწავლებელთა ისეთ დატვირთვას, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირება, განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების განხორციელება, სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებამ მიმდინარე წლის 5 თებერვალს და 16 მაისს თავიდან გააფორმა შრომითი ხელშეკრულებები პროგრამის განმახორციელებლებთან. აღნიშნული ხელშეკრულებებით დასაქმებულთა უფლებამოსილებაში განისაზღვრა მხოლოდ ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობა, თუმცა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, სრულად არ იკვეთება მათი მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წინა ვიზიტის ფარგლებში შემუშავებული ექსპერტთა დასკვნით იკვეთება, რომ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის N8 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით განსაზღვრული იყო, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენელს უფლება ჰქონდა შეთავსებით დაეკავებინა პროფესიული მასწავლებლის პოზიცია და დღეში პარალელურად 4, 5 ან სხვა რაოდენობის საათები ჩაეტარებინა. მონიტორინგის მიზნებისთვის, დაწესებულებამ თავიდან შეიმუშავა შინაგანაწესი და დირექტორის 2022 წლის 16 მაისის N23 ბრძანებით დაამტკიცა, რომლის მე-19 მუხლით განსაზღვრა, რომ „კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელს უფლება აქვს შეთავსებით დაიკავოს პროფესიული მასწავლებლის პოზიცია და დღეში პარალელურად შეუძლია ჩაატაროს 4-დან 6 საათამდე 18 საათამდე.“ გამომდინარე იქიდან, რომ არ არის მიზანშეწონილი ადმინისტრაციის პერსონალი, დღეში ატარებდეს 6 საათამდე ლექციებს, სასურველია დაწესებულებამ ადმინისტრაციული პესონალის აკადემიური დატვირთვის ოდენობა დაადგინოს ცალსახად და განსაზღვროს მათი არა დღიური, არამედ კვირეული საათობრივი დატვირთვა.

ვიზიტის ფარგლებში, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ მოდულებს განახორციელებდა 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით არასაკმარისი იყო. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი ერთი პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ორგანულ კანონს - შრომის კოდექსს და აღემატებოდა კვირაში 40 საათს. კერძოდ, მასწავლებლის დატვირთვის სქემის მიხედვით, ერთი პროფესიული განათლების მასწავლებლის კვირეული დატვირთვა რამდენიმე კვირის განმავლობაში მერყეობდა 56 საათიდან 68 საათის ფარგლებში (დანართი 2). შესაბამისად, ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ახალი პროფესიული განათლების მასწავლების პირადი საქმე, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობას. კერძოდ, მას მინიჭებული აქვს დიპლომირებული ვეტერინარის აკადემიური ხარისხი და აქვს ვეტერინარად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ახალ მასწავლებელს გადაუნაწილდა ის მოდულები, რომლებიც იწვევდა პროგრამის უკვე არსებული ერთი განმახორციელებელი პირის 40 საათიანი კვირეული დატვირთვის გადაჭარბებას. შესაბამისად, შეფასება 2.2.1.2. ინდიკატორისა არის შემდეგი: ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
მოდული „ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია“ არის 4 კრედიტიანი, ხოლო მასწავლებლის დატვირთვის სქემით გაწერილია მხოლოდ 80 საათი, როდესაც სასწავლო გეგმით გაწერილია 100 საათი. შესაბამისად, სასურველია დატვირთვის სქემაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

3. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დარეგულირებეულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 16 მაისის N21 ბრძანებით დამტკიცებული მთავარი დებულებით. შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით, განსაზღვრულია რომ მასწავლებლად პირი ინიშნება დირექტორის ბრძანებით და მასთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. ზემოაღნიშნული დებულებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: ა) უმაღლესი განათლება; ბ) პროფესიული განათლების შემთხვევაში პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება ან პროფესიის მიხედვით მუშაობის გამოცდილება; გ) გააჩნდეს სათანადო უნარები; დ) მაღალი პროფესიული ცოდნა და უნარები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროგრამა არ მოიცავს პროგრამის განმახორციელებლებზე ინფორმაციას და ისინი ცალკე ბრძანებით (N30/28.06.2022) არიან დამტკიცებულნი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადი შეავსეს, რომელსაც ახლავს მატერიალურ რესურსებსა და მოდულის განმახორციელებლებზე ინფორმაცია. გამომდინარე იქიდან, რომ განაცხადი არ არის პროგრამის შემადგენელი ნაწილი, მიზანშეწონილი იყო პროგრამას დანართებად გაწერილი და დამტკიცებული ჰქონოდა ინფორმაცია მატერიალურ რესურსებსა და მოდულთა განმახორციელებლებზე.

ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეული პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პერსონალის უმეტესობას აქვს ვეტერინარის ან ვეტერინარი ექიმის კვალიფიკაცია და შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. წინა ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაცია, რომ დასაზუსტებელი იყო მასწავლებელთა მოვალეობები, ხელშეკრულებაში იკითხებოდა სილაბუსების შემუშავების ვალდებულება და სხვა, რაც არ იყო თავსებადი მოდულური პროგრამის განხორციელების მიზნებთან. ვიზიტის შემდომ, მიმდინარე წლის 5 თებერვალსა და 16 მაისს პროგრამის განმახორციელებლებთან თავიდან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები და დასაქმებულთა უფლებამოსილებაში განისაზღვრა მხოლოდ ვერიფიკაციის პროცესში მათი მონაწილეობა. ასევე, მოქმედ ხელშეკრულებებში კვლავ იკითხება სილაბუსების შემუშავების ვალდებულება, რაც კვლავაც არ არის თავსებადი პროგრამის განხორციელების მიზნებთან. ხელშეკრულებები გაფორმებულია ერთი წლის ვადით. ექსპერტთა ჯგუფის პერსონალთან გასაუბრებისას მათ დაადასტურეს კოლეჯთან გრძელვადინი თანამშრომლობის სურვილი. პერსონალის ნაწილს ჰქონდა მოდულის განხორციელების გამოცდილება (ზოგადი მოდულების შემთხვევაში), ხოლო ნაწილის გადამზადებას კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა დაარეგულიროს პერსონალთან სახელშეკრულებო ურთიერთობები და მოდულური სწავლების მიდგომების გათვალისწინებით დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები.

4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 16 მაისის N26 ბრძანებით დამტკიცებულია ვეტრინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და 2022 წლის 16 მაისს მასთან გაფორმებულია N11 ხელშეკრულება. გაფორმებული ხელშეკრულებით გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ანაზღაურების ოდენობა, ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობა, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცალსახად არ ჩანს ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში პროგრამის ხელმძღვანელის სრულად ჩართულობის ვალდებულება, მაგ.: შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის, დამსაქმებელთა კმაყოფილების, მოლოდინებისა და საჭიროებების კვლევის პროცესში ჩართულობა და სხვა. ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებისას, პროგრამის ხელმძღვანელმა გამოთქვა სრული მზადყოფნა, ჩაერთოს პროგრამის განვითარებაში, განხორციელებასა და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში.

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია 2022 წლის 16 მაისს მასწავლებლებთან გაფორმებული N10 და N12 ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებები. კერძოდ, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, დამსაქმებელთა კმაყოფილების, მოლოდინების და საჭიროებების კვლევა, თუმცა აღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმებულია პირებთან, რომლებიც არ არიან პროგრამის ხელმძღვანელები. ამასთან ერთი პირი არის ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი და არ აქვს დარგობრივი კომპეტენცია, ხოლო მეორე პროფესიული მოდულების განმახორციელებელია, თუმცა არ არსებობს მისი პროგრამის ხელმძღვანელად დანიშვნის აქტი. აღნიშნული დაწესებულების განმარტებით წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, ვეტერინარიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ მინიმუმამდე დაიყვანოს ტექნიკური ხარვეზები, დაარეგულიროს პროგრამის ხელმძღვანელთან სახელშეკრულებო ურთიერთობები და დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები.

5. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ექსპერტთა მიერ, ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმდა სასწავლო რესურსები. დაწესებულების ბიბლიოთეკაში დაცული სასწავლო რესურსები შეესაბამება მოდულებით განსაზღვრულ ლიტერატურას და ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის შესაბამისი მომსახურეობა. საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული რესურსი ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამების მიხედვით და მინიჭებული აქვს შესაბამისი კოდები.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში.
6. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N72 ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები სსსმ და შშმ პირებისათვის“. მოცემული დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პერიოდი და საჭიროება. შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განისაზღვრება: ა) სწავლის შედეგები, სწავლების სტრატეგიები, სასწავლო აქტივობები მოდულების ფარგლებში; ბ) დრო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომელსაც პროფესიული განათლების მასწავლებელი დაუთმობს პროფესიულ სტუდენტებს; გ) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა და მასზე პასუხისმგებელი პირი; დ) სტუდენტებისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი. კოლეჯის ბიბლიოთეკარმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ სსსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლიათ, თუმცა ის მზადაა უზრუნველყოს ასეთი სტუდენტისათვის ყველა სახის საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა მისთვის სასურველი ფორმით, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით ამობეჭდვა, ელექტრონული სახით მიწოდება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, კოლეჯი მზადაა უზრუნველყოს სსსმ პირთა წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანთებლო პროგრამისთვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მიმდინარე წლის 8 ივლისს შემუშავებული პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტში პროგრამის სასწავლო ჯგუფის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 8 პროფესიული სტუდენტით, ხოლო შემოსავლები დათვლილია 10 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში. ბიუჯეტის ხარჯის კომპონენტი ითვალისწინებს მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ხელფასებს, სასწავლო მასალების ხარჯს, პრაქტიკის ობიექტზე კლინიკური და პრაქტიკული მოდულების განხორციელების ხარჯს, მასწავლებელთა მომზადებისა და ტრენინგებისთვის გაწეულ ხარჯს და სხვა. საპროგნოზო ბიუჯეტით ირკვევა, რომ კოლეჯი მიიღებს ორი სახის შემოსავლებს. კოლეჯის გათვლებით შემოსავლების ოდენობა შეადგენს 113100 ლარს, მათ შორის:

- სტუდენტის სწავლის გადასახადი შეადგენს 610 ლარს, სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 10-ს, შემოსავლების საერთო რაოდენობის ველში მოცემულია 6100 ლარი;
- სტუდენტის ვაუჩერის თანხა შეადგენს 10700 ლარს, სტუდენტთა რაოდენობად გაწერილია - 10, შემოსავლების საერთო რაოდენობის ველში მოცემულია 107000 ლარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რეალურად, პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით, კოლეჯის საპროგნოზო შემოსავლები შეადგენს - 90480 ლარს, ნაცვლად მითითებული 113100 ლარისა. მიზანშეწონილია, რენტაბელობის ზღვარიდან გამომდინარე, მოხდეს შემოსავლების დათვლა. წინა ვიზიტის ფარგლებში, აღნიშული რეკომენდაცია გაცემულია დაწესებულების მისამართით, მათ შორის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგაც, რადგან დაწესებულებას კვლავ არ ჰქონდა შემოსავლები რენტაბელობის ზღვარიდან გამომდინარე დათვლილი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ბიუჯეტში მითითებული რენტაბელური ზღვარის გათვალისწინებით მიღებული შემოსავლები ფარავს ამავე ბიუჯეტით განსაზღვრულ პროგრამის განხორციელების ხარჯს, თუმცა, რეკომენდებულია კოლეჯმა სწორად გაიანგარიშოს ბიუჯეტის შესაბამის კომპონენტით განსაზღვრული მონაცემები. კერძოდ, შემოსავლები დაიანგარიშოს რენტაბელური ზღვარის მიხედვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებით სსსმ და შშმ პირებისათვის;
- განმახორციელებელი პირის დატვირთვის წლიური სქემებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სასაქონლო ზედნადებებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- მთავარი დებულებით;
- პირადი საქმეებით;
- ინტერვიუირებით;
- შინაგანაწესით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. განმახორციელებელი პირის დატვირთვის წლიური სქემა.

12.08.2022
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---